ბიბლიოთეკა

საშაბათი

აპრილი 30 1996

კავკასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი № 73 (367)

ფასი 40 თეთრი

...ორის ხეობა დახმარებას ითხოვს

...ორის ხეობის მოსახლეობა, ფაქტობრივად, სრულ ბლოკადაში აღმოჩნდა. ...ლის ოქტომბრიდან, რაც ჩაიკეტა უღელტეხილი, აქ დახმარება არ მიუღიათ. ...ნები. რომლებიც გარე სამყაროსთან კავშირის ერთადერთ საშუალებად ...იშვიათად დაფრინავენ, რადგან პილოტები, ადგილობრივი მოსახლეობის ...ით. ტვირთების გადატანისთვის დიდ თანხებს ითხოვენ.

...ოცეს ...ვეები

...ბერეულ რაიონის სოფელ ილორის ...ში ხაპოვნია გალის რაიონის ...ურეგლების გვამი: წურწუმია, ...ია და არქანია. ისინი აფხაზუ...ალრეგ 17 დღის წინ აიყვანა ...

ტყვეები გაიცვალა

ენგურის ხიდთან მოხდა ტყვეების გაცვლა. ხუთი ტყვე აფხაზის სანაცვლოდ, აფხაზურმა მხარემ ქართულ მხარეს გადასცა გატაცებული ქართველი მეთევზეები.

BGI

ჰუმანიზმი

პატრიარქი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, რათა საქართველოში გაუქმებულ იქნას დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა. არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტი მიიღებს ამ დადგენილებას, რადგან პარლამენტართა უმრავლესობა იზიარებს პატრიარქის აზრს.

კათოლიკოს პატრიარქმა ასევე თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, რომ გაუქმდეს სასიკვდილო განაჩენი. ამჟამად რესპუბლიკაში 33 სიკვდილმისჯილია.

იფრინდა

SOS

საწამლავი რვა ლარად

დაპირებების სეზონი დაიწყო

კარგა ხანია თხევადი აირი მასიური მოხმარების პროდუქტი გახდა და დღემდე არ შექმნილა ერთიანი სამსახური, რომელიც პასუხს აგებდა თხევადი აირის, ბალონების და რედუქტორების ხარისხზე, მომხმარებლის უსაფრთხოებაზე. თხევადი აირის შესყიდვას და რეალიზაციას კერძო პირები განაგებენ. არადა, პროდუქტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დეპარტამენტ „საქგაზის" ფუნქცია თხევადი აირით მომარაგების სფეროში მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, „საქგაზმა" დღემდე ვერ მოახერხა რეალური ღონისძიებების განხორციელება, აზერბაიჯანიდან თხევადი აირის შეზღუდული, ფაქტობრივად, მონოპოლური მოწოდების ალტერნატიული წყაროების მოძიება.

იხილეთ მე—2 გვ

ინტერვიუ

ევროპა დაინტერესებულია მშვიდობით კავკასიაში

17 აპრილს ცხინვალში საქართველოს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, რუსეთის და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მონაწილეობით პარაფირებულ იქნა მემორანდუმი ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილეებს შორის უსაფრთხოებისა და ურთიერთნდობის განმტკიცების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

მემორანდუმში მონაწილე მხარეები ცხრა ღონისძიებაზე შეთანხმდნენ, რომლებიც უკვე გაგაცანით ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ წინა ნომერში. დღეს გთავაზობთ ინტერვიუს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელთან საქართველოში დიტერ ბოდენთან. სპეციალურად გაზეთ „კავკასიონისთვის" ბატონმა ბოდენმა კომენტირება გაუკეთა ამ დოკუმენტს და ისაუბარა საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების დარეგულირების შესახებ.

17 აპრილს ცხინვალში მოხდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილეებს შორის მემორანდუმის პარაფირება. მემორანდუმში აღნიშნული ღონისძიებები კონფლიქტის მონაწილეებს შორის უსაფრთხოებისა და ურთიერთნდობის განმტკიცებას გულისხმობს. როგორ აფასებთ ამ დოკუმენტს?

— **17 აპრილის მემორანდუმი, ჩემი აზრით, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. ქართულ-ოსური კონფლიქტის ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკების პროცესში ეს უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ დოკუმენტში დასახელებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის ურთიერთნდობის გაძლიერებას. მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ამჟერად არ შეხებიან ცხინვალის რეგიონის სტატუსის საკითხს, რაც მუშაობის შემდეგ ეტაპად უნდა იქცეს.**

მნიშვნელოვანია, რომ მემორანდუმში დაცული პუნქტები მხოლოდ ფურცელზე დაწერილი არ დარჩეს, ერთ ადგილზე არ გაიყინოს წინ წაწეული საქმე. ამ მხრივ, ოპტიმისტურადა ვარ განწყობილი-მიმაჩნია, რომ სიტუაცია კონფლიქტის ზონაში იძედის საფუძველს იძლევა. რა თქმა უნდა, მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს წინ დიდი და სერიოზული სამუშაო ელით. პირველ რიგში მემორანდუმს ხელი უნდა მოეწეროს და დამტკიცდეს. ამაზე არ უნდა დაიკარგოს ბევრი დრო. ეს უახლოესი დღეების საქმეა.

რა ინტერესი აქვს თქვენ მისიას კავკასიაში, კონკრეტულად საქართველოში და კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი მუშაობის შედეგებით?

— **საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტების დარეგულირებაზე სხვადასხვა ორგანიზაციები მუშაობენ. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის მანდატი საქართველოსეთის კონფლიქტის მოწესრიგებას ითვალისწინებს. ევროპა დაინტერესებულია მშვიდობით კავკასიაში. საქართველოში ეს მისია 1992 წლიდან არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებას შეუწყო ხელი, როგორიცაა მაგალითად მემორანდუმის პარაფირება. ჩვენ მისიას კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. ვაპირებთ სტატუსის საკითხში ცვლილებები შევიტანოთ.**

იხილეთ მე 2 გვ.

ჩეჩნეთი

...ეტკიცებენ, რომ დუდაევის ...ემკვიდრეც მოკლეს

...ეჩნეთის კვირის დასაწყისი ჩეჩ...ში მოსული კიდევ ერთი სენსა...ური ინფორმაციით აღინიშნა: გუ...ბინ. ურუს-მარტანის რაიონში, ...ა ინჭერიის ახლა უკვე ყოფილი ...ენერალის ჯოხარ დუდაევის მემკ...ვალე ასლან იანდარბიევი. საკარა...ოდ იგი ჩეჩენთა დაჯგუფებებს შო...ლხრავი სროლის დროს მოკლეს. ...ალრანში იანდარბიევი შალაკი...ეულებოდა, სადაც იგი საველ...ებს ახდომას ესწრებოდა. სხდო...ბა ...ალისთვის მებრძოლ ჩე...ჩენეთ...ებების მეთაურად შამილ ...ბასაევი იყო. ომის პირობებში ეს ...ალი ...ალ...ალ...ალ

კავკასიონი
სამშაბათი, 30 აპრილი, 1996
პოლიტიკა
№ 18 (36)

ციხე

ციხეში, «კაპეზესთან» შედარებით, მართლა სამოთხეა?

პირველი გვერდიდან

თქვენ ხშირად საჯაროდ აცხადებთ, რომ სასჯელთა აღმასრულებელ დაწესებულებებში შექმნილია პატიმრებისთვის უკიდურესად მძიმე ყოფითი პირობები. რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით?

— რამდენიმე დღის წინ მოვინახულე პატიმრები ავჭალის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში, ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სპეციალურ საავადმყოფოში, ქსნის განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის კოლონიაში. მსჯავრდებულებთან გულახდილი საუბრისას არცერთ მათგანს არ გამოუთქვამს საყვედური ადმინისტრაციის მიმართ. მაგრამ

თავად ის პირობები, რომელშიც პატიმრები იმყოფებიან, უკვე არღვევს ადამიანის უფლებებს.

საკითხის ასე დაყენებაც შეიძლება. რაც დაიმსახურეს, იმასვე იმკიან. მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას — რაც დაიმსახურეს, იმდენი წელი მიიღეს და იზოლირებულნიც არიან, მაგრამ საპატიმროებში მ... ...ადამიანურ ყოფას, ვერანაირ გამართლებას კერ მოვუძებნი.

საოცარ ფაქტს წავანყდი ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულთა სპეციალურ საავადმყოფო-კოლონიაში. თითოეულ მსჯავრდებულზე კანონით გათვალისწინებულ 5 კვ. მეტრზე საუბარია კი ზედმეტია, როცა ნვიმისას, ჭერქვეთ დაავადებული 238 მძიმე ავადმყოფის ლოგინი და საწოლი წყალში კურავს. თავად კოლონიის უფროსიც ძალზე შეწუხებულია, რომ უსახსრობის გამო ვერ ახერხებს შენობის სახურავის შეკეთებას. ამასთანავე, კოლონია-საავადმყოფოს არ აქვს საკუთარი წყალგაყვანილობა და წყალს ბიდონებით ეზიდებიან. მესმის, რომ დღეს სახელმწიფოს უჭირს და შეიძლება, კიდეც შეშომედავონ, რომ ზოგიერთს სახლში ანალოგიური მდგომარეობა აქვს, მაგრამ,

როცა სახელმწიფო პიროვნების იზოლირებას ახდენს, მასზე რაღაც პასუხისმგებლობას ხომ უნდა იღებდეს?!

ავადმყოფი. პატიმარი თუკი, რა თქმა უნდა, გადარჩა და ციხიდან გამოვიდა, წინასწარ რატომ არ ეფიქრობთ იმაზე, როგორ შევა იგი იმ საზოგადოებაში და იცხოვრებს იმ ქვეყანაში, რომელმაც სრულიად ჯანმრთელი ასეთ პირობებში ჩაგზენა და დააავადა.

ავჭალის კოლონიაში სტუმრობისას როგორც თავად კოლონიის უფროსმა განმიცხადა, ეს კოლონია, სხვებთან შედარებით, ყველაზე ნორმალურ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. ძნელია, დარწმუნდე, რას ნიშნავს ნორმალური მდგომარეობა, როცა შენობაში წყალი იქაც ჩამოდის, ჩატეხილია ფანჯრები. ერთი სიტყვით, ამ დანესებულებებში ერთობ საკალალო მდგომარეობაა შექმნილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით მისდა განგაში ავტეხო, რათა რაღაც თანწა მაინც გამოიყოს შენობების შეკეთებლად.

როგორც ამბობენ, წინასწარი [illegible] იზოლატორთან შედარებით, [illegible] ითქვას, „კაპეზესთან“ შედარებით, [illegible] კია...

— მე ნინასწარი დაკავების არცერთ საკანში არ ვყოფილვარ. გამომძიებლები მიხსნიან, რომ გამოძიების პროცესში განსასჯელთა მონახულება აკრძალულია. თუმცა, მათივე წყალობით მაინც ვახერხებ განსასჯელებთან შეხვედრას გამომძიებლის თანდასწრებით, ოღონდ არა საკანში. თუმცა,

ჩემთან უამრავი განცხადება შემოდის განსასჯელთა ფიზიკური ზეწოლის ფაქტებზე.

მაგრამ, როცა კონკრეტული პიროვნების თაობაზე გამომძიებელს ვუკავშირდები, იგი ცდილობს, დამარწმუნოს იმაში, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტი სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში ვითხოვ, რომ განსასჯელს სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდეს, მაგრამ ვანყდები ისეთ რამეს, როცა თავად დაკავებული აცხადებს უარს ექსპერტიზაზე, ალბათ, იმის შიშით, ვაითუ, ექსპერტიზამ დაადასტუროს მასზე ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები და ამას სამართალდამცავთა მხრიდან უკურეაქცია მოპყვეს. კოლონიებში ან ციხეში პატიმრებთან საუბრისას კი, მსჯავრდებულები უკვე ამცნობენენ, რომ „კაპეზეს“ შემდეგ ისინი თითქმის კურორტზე იმყოფებიან.

სახალხო დამცველს კანონით ექნება ნინასწარი დაკავების საკანში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება და ამდენად, ეფიქრობ, სამართალდამცავი ორგანოებიც მოუკლებენ მსგავს ქმედებებს.

მიმდინარეობს 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილთა გამოძიების პროცესი. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, რომ განსასჯელები, რომლებიც შსს №5 იზოლატორში არიან მოთავსებულნი, გამოძიების პროცესში ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდიან?

— ჩემთან არცერთი საჩივარი ამ პიროვნებებზე ზეწოლის ფაქტებზე არ შემოსულა. განცხადებები მივიღე მხოლოდ ორი განსასჯელის — კვეზერელის და გოგიტიძის ოჯახებიდან მაშინ, როცა მათ აქონდათ ნაყენებული 187-ე მუხლი — სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება. „ვიდეოპატრული-02“-ში და ზოგიერთ გაზეთში გაცხადდა, რომ ისინი ტერაქტში იმხილებოდნენ, რაც ადამიანის უფლებების ხელყოფაა. რაც შეეხება დანარჩენებს, მათი უფლებების შელახვის ფაქტებზე ჩემთვის არაფერია ცნობილი.

— ახალგორში და ოზურგეთში მომხდარ ფაქტებზე თუ გაქვთ ინფორმაცია?

— ლენინგორში დაკავებულის გარდაცვალების შემდეგ დადასტურდა, რომ იგი ნამდვილად პოლიციელებმა სცემეს. ოზურგეთში კი, 35 წლის ქიქოძემ ვერ გაუძლო წინასწარი დაკავების საკანში შექმნილ არაადამიანურ პირობებს და თავი ჩამოიხრჩო. ორივე ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

— თქვენ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი ხართ და მოითხოვთ, რომ 33 სიკვდილმისჯილს, მათ შორის გელბახიანს და დოკვაძეს, სასიკვდილო განაჩენი ხანგრძლივი პატიმრობით შეეცვალოს. როგორ ფიქრობთ, არის დღეს მზად ჩვენი საზოგადოება და თავად პარლამენტი ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად?

— მე, ალბათ, გამოვიყენე ჩემი სადეპუტატო უფლებები და მივმართე პრეზიდენტს ირაკლი დოკუკაძის და პეტრე გელბახიანის სასიკვდილო განაჩენის ხანგრძლივი პატიმრობით შეცვლის თხოვნით. ამ დღეებში ჩვენ მიეღეთ ილია-II-ის ხელმოწერით საქართველოს საპატრიარქოს მიმართვა პარლამენტისადმი. ნერილში ნათქვამია, რომ, ალბათ, საქართველოში დადგა სიკვდილით დასჯის გაუქმების დრო. მეორე ნერილში საპატრიარქო თხოვს პარლამენტს, რათა 33 სიკვდილმისჯილი შენყალებულ იქნას და მათ სასიკვდილო განაჩენი ხანგრძლივი პატიმრობით შეეცვალოთ. ივივე შინაარსის ნერილი გაეგზავნა პრეზიდენტს, რადგან განაჩენის შეცვლა მხოლოდდამხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა.

რაც შეეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას, ეფიქრობ, დღეს პარლამენტი არაა მზად ამ გადაწყვეტილების მისაღებად, მით უმეტეს, საზოგადოებაც, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამოსულა წინა წლების აგონიიდან. სწორედ ამისთვის საჭიროა, მომწიფდეს საზოგადოებრივი აზრი.

როცა შსს ინფორმაციაზე დაყრდნობით, საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ ამა თუ იმ პიროვნების დაკავების შესახებ და მის მიმართ წაყენებულ, ჯერ კიდევ დაუდასტურებელ ბრალეულობას ფართო საზოგადოებას აცნობენ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა?

მუხლი 11. ხიბეველ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ითვლებოდეს მოდანაშაულედ მანამ, სანამ მისი დანაშაულის, ანუ დანაშაულის ნაწილის ბრალეული არ იქნება კანონიერი წესით სასამართლოს განაჩენით, რომელმაც დროსაც მისთვის უზრუნველყოფილია დაცვის ყველა შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

— სწორედ ამ ინფორმაციების წყალობით, ბევრი ოჯახი ერთმანეთს გადაეკიდა. ერთ ფაქტსაც მოვიყვან: აღმოჩნდა, რომ ის პიროვნება, რომლის ბრალეულობის შესახებაც ტელევიზიით გადაიცა, საბოლოოდ არ აღმოჩნდა დამნაშავე. ამ ტელეგადაცემებით, ეფიქრობ, ვიღაცას ლინჩის წესისკენ ვუბიძგებთ. როცა ტელევიზიით ეხედავ პიროვნებას, რომელიც, ჯერჯერობით, ეჭვმიტანილია, დავუშვათ, ჩემი ახლობლის მკვლელობაში, ხომ შეიძლება, მის ოჯახთან ანგარიშსწორების სურვილი დამებადოს?! ამიტომ, უმჯობესია, საზღვარგარეთული მაგალითები ჩვენშიც დავამკვიდროთ. უცხოეთის საინფორმაციო საშუალებები მხოლოდ ფაქტს ასახელებენ და არა დაკავებულის ვინაობას. ასე ხდება რუსეთშიც. ამას წინათ, უკრაინაში დააკავეს 50 ბავშვის მკვლელობაში მხილებული პიროვნება, მაგრამ მისი გვარი არ დაუსახელებიათ, ტელევიზიით მხოლოდ ზურგით გვაჩვენეს. ამიტომ, საინფორმაციო საშუალებებს მეტ წინდახედულებას ვთხოვ და თუ თხოვნაც არ გაჭრის, მაშინ იძულებული გავხდები, პარლამენტში დავაყენო საკითხი გარკვეული დოკუმენტის შექმნის შესახებ.

ესაუბრა

ДИАНА ГАБАРОШВИЛИ

SOS

საწამლავი რვა ლეპრტ

დაპირებების სეზონი დაიწყო

პირველი გვერდიდან

იმპორტის. მოცულობა ამჟამად მცირეა: გასულ წელს 1200 ტონა შეადგინა, რაც კრიზისამდელი პერიოდის მომარაგების 10 პროცენტზე ნაკლებია.

თხევადი აირის დაახლოებით 70 პროცენტი რესპუბლიკაში კერძო სექტორს შემოაქვს. აზერბაიჯანიდან საყოფაცხოვრებო გაზის სანაცვლოდ არასტანდარტული, მავნე მინარევებიანი, ცუდად ორთქლებადი ქიმიური ქარხნის ნედლეული შემოდის; საქართველოში იმპორტირებული თხევადი აირის ანალიზი არავის ჩაუტარებია და გაურკვეველია, რამდენად მავნედ მოქმედებს პროდუქტი ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება თუ არა მისი ხანგრძლივად, სისტემატურად გამოყენება.

დავით ელიავშვილი, დეპარტამენტ „საქგაზის“ თავმჯდომარე: „ქალაქში თხევად გაზს კერძო სტრუტურები ყიდიან. ვაჭრობა ქაოსურად მიმდინარეობს. ვინ რას ყიდის, არ ვიცით. ხშირად იყიდება ვადაგასული კოროზირებული बალონები, ათასნაირი მოდიფიკაციის და კუსტარული წარმოების რედუქტორები, ისინი არავის შეუმოწმებია. ადრე बალონების საბრუნავი ფონდი 600-700 ათასი იყო. ყოველ წელინადს बალონების გადარჩევა და ჩამონერა მიმდინარეობდა. წელინადში 100 ათას बალონს ვყიდულობდით, დღეს ამის საშუალება არ არის. აწ მუშაობს बალონების გამომშვები ქარხანა. ადრე თხევადი გაზის მომწოდებელი რუსეთი იყო. სადღეისოდ ეს კავშირები დარღვეულია. ყოფილა შემთხვევები, როდესაც რუსეთიდან გაზის მოწოდებაში შეფერხებების დროს აზერბაიჯანიდან მოგვეწია თხევადი აირის შემოტანა, მაგრამ პროდუქტი იმდენად უხარისხო იყო საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის, რომ უკან დავაბრუნეთ. კერძო სტრუქტურებს თხევადი აირი ყოველგვარი სერთიფიკატის და პასპორტის გარეშე შემოაქვთ. საყოფაცხოვრებო გაზი აზერბაიჯანს თავად მცირე აქვს“.

კერძო სექტორი რესპუბლიკაში, რატომღაც, ყოველგვარი კონტროლის გარეშე მოქმედებს. მათ საქმიანობაზე მეთვალყურეობა, სამწუხაროდ, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მეთვალყურეობის სფეროში არ შედის და შედეგად მოსახლეობა ზარალდება. ძალზე ხშირია თხევადი აირის ბალონების აფეთქების შემთხვევები — იღუპებიან ადამიანები, ეკონომიკური ზარალი მილიონებს აღწევს. რესპუბლიკაში საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნებისმიერი პროდუქტის ხარისხი სავაჭრო ქსელში რეალიზაციამდე მკაცრად უნდა შემოწმდეს.

* * *

ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ თბილისის გარკვეულ უბნებს შემოდგომიდან ბუნებრივი აირი მიეწოდება, თუკი მობინადრეები ერთი თვის გადასახადს წინასწარ გადაიხდიან.

დავით ელიავშვილი, „ ბუნებრივი გაზის მიწოდებისთვის“ შერჩეულია დიღმის, გლდანის, ვარკეთილის მასივები, თემქის და მესამე მასივის დასახლებები. გაზის საფასური ადრინდელთან შედარებით, გაცილებით იაფია. ფიქსირებული გადასახადი ნორმატივის მიხედვით ერთ სულზე (42 კბ.მ. თვეში) საშუალოდ — ზაფხულის და ზამთრის სეზონის გათვალისწინებით — 4 ლარია. გაზის მომწოდებელი რუსეთი იქნება.

კომერციული ფირმა „ენერგია“, რომლის დამფუძნებლები არიან: აზოტის ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, „სათბობენერგეტიკულ... პორაცია და დეპარტამენტი ... ხელშეკრულებებს გააფორმებენ ... ფირმა „იტერასთან“, თუ, რა თქმა... შეეძლებთ საჭირო თანხის ... შეგროვებას. ამჟერად მოსახლეობ... ნებრივი აირით კერძო სექტორი... რაგებს და არა სახელმწიფო“.

გაზგაყვანილობის სისტემის ... ზადებელი სამუშაოები სექტემბრ... ლოსთვის დასრულდება, თუმცა... გორც ირკვევა, სარემონტო სამუშ... ჩატარება კრედიტის გარეშე შეუ... ლია.

იდეა მიმზიდველია, ზ... წყვდიადით მოცული მასივების... ლეობა გათბობას და საჭმლის მ... ბას მაინც შეძლებს უპრობლემო... რამ ხომ არ არის ეს ახალი ... გრამის დასაწყისი, რომელიც სა... ბას მისცემს მავანთ, საზოგა... ყურადღების კონცენტრაცია ... რობლემებიდან გაზის მომარაგ... დავიდეს.

ბოლო ორი-სამი წელ... ლოს მოსახლეობისთვის ... „ორმაგი დატვირთვა“ ენერ... ლოგიური და სოციალური. ... ტული დარგის ხელმძღვანელ... მძიმე ზამთრის გამომწვევ... (ნაწილობრივ მაინც) გა... იმედს სწორედ გაზიფიცირ... ხოლმე. ეს მარათონი შ... გრძელდება. ზამთარში კი ... ლემებს ახალი გართულებებ... და მოსახლეობას კვლავ ბუნ... ფიზულამდე გაძლების იმედი ... გეშოდ. იქნებ, წლევანდელ... აღმოჩნდეს გამონაკლისი და ... დაპირებებს, რეალური საქ...

ხათუნა რეხვიაშვ...

ჩეჩნეთი

ემუქრებიან პრომოსკოვურ მთავრობას

გროზნოს ცენტრში ჩეჩენმა ბოევიკებმა გაავრცელეს პროკლამაციები, რომლებშიც ისინი ემუქრებიან რესპუბლიკის პრომოსკოვური მთავრობის წარმომადგენლებს.

ИБЗРИА

დუდაევი ცოცხალია?

დუდაევი ცოცხალია, მაგრამ ძლიერი კანტუზია აქვს და სმენა დაკარგა. ამის შესახებ კომპეტენტურ წყაროებზე დაყრდნობით განაცხადა რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის პროგრამა „ДНИ“-ს წამყვანმა ალექსანდრე ნევზოროვმა. მისი თქმით, ის, რომ დუდაევი ცოცხალია, დასტურდება შვეიცარიის ერთ-ერთი კლინიკიდან მიღებული წინადადებით მაღალჩინოსანი ჩეჩენი მოღვაწის მკურნალობის თაობაზე, რომელსაც აქვს „ტრავმული სიყრუე და მძიმე კანტუზიიდან გამომდინარე სხვა გართულებები“. აღა დუდაევამ თხოვნით მიმართა რუსეთის ხელისუფლებას, გაუხსნან მას და მის თანამგზავრებს კორიდორი ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან გასასვლელად.

BGI

„... ეს პოლიტიკური მკვლელობაა“

ჩეჩენ მებრძოლთა ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაურმა ახმედ ზაკაევმა განა... რომ დუდაევის მკვლელობა არ არის უბრალო ტერორისტული აქტი, ეს პოლ... მკვლელობაა, რომელმაც კიდევ უფრო გააერთიანა ჩეჩენი ერი. „ჩვენ ... ზომებს მივიღებთ — რუსეთი ინანებს დუდაევის მოკვლას, ამის პირობას ვიძ... — აღნიშნა ზაკაევმა.

დაღუპვის ახალი ვერსია

ჯოხარ დუდაევის სიკვდილი გამოიწვია მის მანქანაში ჩადებული ნღმის აფეთქებამ და არა რაკეტამ — ასეთი ვერსია გამოთქვეს კიევის ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლებმა, რ... მაც ეს ინფორმაცია დუდაევის ... ლისგან მიიღეს.

ИБ...

ჩეჩნეთის მოვლენების გამოძახილი?

გუშინ ღამით, თერქეთის დედაქალაქ სტამბულში, რუსეთის „აეროფლოტის“ წარმომადგენლობის შენობის წინ, აფეთქდა ეგრეთ წოდებული ხმაურის გამომწვევი მონყობილობა. შენობა უმნიშვნელოდ დაზიანდა, არავინ დაშავებულა. პასუხისმგებლობა მომხდარზე ჯერჯერობით არავის აუღია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი არ გამორიცხავს ჩეჩნეთის მოელენების კავშირს აფეთქებასთან.

ინტერვიუ

ევროპა დაინტერესებულია მშვიდობით კავკასიაში

პირველი გვერდიდან

საქართველოში კონფლიქტების დარეგულირების პროცესში ჩართულია ევროკავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. მისი საქმიანობა ისევე, როგორც თქვენი მისიისა ითვალისწინებს აგრეთვე ჰუმანიტარული ტვირთის ჩამოტანას საქართველოში. ხდება თუ არა ამ ორი მისიის საქმიანობის თანხვედრა და რით შეგვიძლია ახსნათ გარღვევა ცხინვალის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში და ერთგვარი შეჩერება აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტაში?

— ჩვენი მისიის მანდატი, პირველ რიგში, საქართველო-ოსეთის კონფლიქტს ეხება, მაგრამ იგი აგრეთვე ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. ის, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ერთ წერტილზე გაიყინა, ობიექტური ფაქტორების ბრალია. ეფიქრობ, ერთგვარი წინსვლა ოსეთის კონფლიქტის დარეგულირებაში დადებით გავლენას იქონიებს აფხაზეთზე. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ერთი ნაბიჯით წავიწიეთ და პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისთვის არ მიგგიწია.

აპირებს თუ არა თქვენი მისია ჩაეგას საბელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივაში „თავისუფალი და მშვიდობიანი კავკასია“?

— ჩვენ მივესალმებით საქართველოს პრეზიდენტის ამ ინიციატივას და ჭკვიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, ერთი მხრივ, ოსეთის და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის ლიდერებთან. უახლოესი მომავლის მნიშვნელოვანი მოვლენა შევარდნაძისა და ჩიბიროვის შეხვედრა იქნება. ამ ინიციატივით ჩრდილო ოსეთის მხარე გამოვიდა. თავის მხრივ, ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე, უდაოდ შევარდნაძე მიესალმა ჩიბიროვის ინიციატივას და აღნიშნა, რომ ეს წინ წაწევს კავკასიაში მშვიდობის დამყარების საქმეს.

მინდა, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები არ უნდა შეჩერდნენ მხოლოდ მემორანდუმის მიღებაზე. მთავარია მოხდეს იმ ღონისძიებათა რეალიზაცია, რომლებიც დოკუმენტშია აღნიშნული.

— უკვე ერთი წელია რაც საქართველოში იმყოფები. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, მიღებულ იქნა პრინციპულად ახალი საკანონმდებლო აქტები, დამტკიცდა კონსტიტუცია. თქვენი აზრით, მიუახლოვდა თუ არა ქვეყანა დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს?

— თვალს გადავავლებთ გასულ წელიწადს, განსაკუთრებით ორი გარემოება იქცევს უურადღებას: ერთი მხრივ, საგრძნობლად გაუმჯობესდა ქვეყანაში კრიმინალური მდგომარეობა, ქუჩაში აღარ ისმის სროლის ხმა. მხედველობაში თუ არ მივიღებთ აქ არსებულ კონფლიქტურ ზონებს, უსაფრთხოების მხრივ, საქართველო ახლა თითქმის ნორმალური ქვეყანაა. მეორე მხრივ, დემოკრატიის პროცესმა უდაოდ წინსვლა განიცადა. არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა პარლამენტი, რომლის უმრავლესობაც დემოკრატიას, რეფორმებს და ადამიანთა უფლებების დაცვას უჭერს მხარს. ამაზე მეტყველებს თუნდაც პარლამენტის სხდომაზე განსახილველად გამოტანილი კანონები. მიწის კანონი, პრივატიზაცია, კანონი ადამიანთა უსაფრთხოების დაცვის შესახებ — წინსვლაა რეფორმებისკენ. უახლოეს მომავალში შედგება კანონი ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ. რეფორმები ეკონომიკისა და კანონმდებლობის სფეროში საქართველოს მალე იმ ქვეყანად გადააქცევს, რომელშიც დემოკრატიის დასავლური სტანდარტები რეალიზდება.

ამ მიმართულებით კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ევროკავშირში განსაკუთრებული სტატუსის მიღება. როგორც აღვნიშნე, დემოკრატიის მხრივ საქართველოს მდგომარეობა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა და ჩვენი მისიაც თავისი მუშაობით მზარს უჭერს ამ პროცესს. ჩვენი მანდატის ერთ-ერთი პუნქტია, დავეხმაროთ დემოკრატიზაციის პროცესს საქართველოში.

— ხშირია თუ არა თქვენი კონტაქტები საქართველოს პრესასთან და გაქვთ თუ არა რაიმე რჩევები ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა მიერ ცხინვალის მოვლენათა გაშუქების მიმართ?

— ჩვენს მისიას ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ახლახანს მონაწილეობა მივიღეთ ქობულეთში ჩატარებულ კონფერენციაში, რომელიც სწორედ ტრანსკავკასიურ კონფლიქტში ჟურნალისტის როლს ეძღვნებოდა. მნიშვნელოვანია მასმედიის როლი ოსეთისა და აფხაზეთის მომავალი სტატუსის გაშუქების საქმეში. რაც შეეხება ჩვენს რჩევებს, მე ვისურვებდი, საქართველოში ჩამოყალიბდეს დემოკრატიული ჟურნალისტიკა, ამ სიტყვის უართო გგებით. ინფორმაციის საშუალებებმა უფრო მეტი უურადღება უნდა დუთმონ დემოკრატიზირების საკითხებს. ეფიქრობ, განვთარება ამ მხრივ სასურველ შედეგებს მოიტანს.

ესაუბრა

СОФИО САДУВАРЕЛИДЗЕ

გასხლოვდეს აფხაზეთი

ჟენევაში ა/წლის აპრილის თვეში მიმდინარეობდა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 52-ე სესია. სესიის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდნენ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათა შორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი სანდრო კავსაძე და აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მიმართ გენოციდის კონლიქტისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების დამდგენი ფიფქიანი კომისიის თავმჯდომარე პროფესორი ლევან ალექსიძე.

სესიაზე იხილებოდა დღეს მსოფლიოსთვის მნიშვნელოვან საკითხთა გრძელი ნუსხა: უკანონო პატიმრობები, წამებები, ადამიანის ბატაცებები, ბავშვთა და ქალთა უფლებები, ადამიანის უფლებათა ტოტალური დარღვევები, საომალაქო ომების — უცხო სახელმწიფოთა ინტერვენციის კერობები, ტერორიზმი და ტერორიზმის მსხვერპლნი, ბავშვთა პროსტიტუცია და სხვა.

16 აპრილს სესიის სხდომაზე გავრცელდა ბატონი ლ.ალექსიძის განცხადება „ბენოციდის კოლიტიკასა და ეთნიკურ წმენდაში დამნაშავე პირების საერთაშორისო, იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე წარდგენის“ შესახებ. იმავე სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ბატონი სანდრო კავსაძე. მისი მოხსენების სრული ტექსტი დაურიგდა კომისიის 53 წევრსა და სხდომის 200-ზე მეტ მონაწილეს.

გთავაზობთ ბატონი სანდრო კავსაძის მიერ 16 აპრილს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის 52-ე სესიის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვას:

ბატონო თავმჯდომარე,
პატივცემულო კომისიის წევრებო,
პატივცემულო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ბევრის თქმა მსურს, მაგრამ, რადგან ჩემი გამოსვლის დრო შეზღუდულია, შევეცდები მოკლედ მოგახსენოთ, მით უმეტეს, რომ გამოსვლის სრული ტექსტი დაგირიგდებათ და, ვიმედოვნებთ, თქვენს უურადღებას დაიმახსოვრებს.

დღეს საქართველო განიცდის ტოტალიტარული სისტემის გადმონაშთების აღმოფხვრის, თავისუფალი ეკონომიკისა და ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების მეტად მძიმე და რთულ პერიოდს.

მსოფლიო საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა გასული წლის 24 აგვისტოს მიღებულ საქართველოს ახალ კონსტიტუციას. ამავე წელს ჩატარებულ საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებს.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ არ განვიცდიდეთ სიძნელეებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ხელშეკრულებების ინკორპორაციის საქმეში, მაგრამ სიტუაცია დღითიდღე უმჯობესდება და ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი საერთაშორისო ინსპექციისთვის.

მინდა შევეხო გარემოებას, რომელიც სერიოზულად აფერხებს დემოკრატიზაციის პროცესს, რამეთუ საქართველოს ნაწილი — აფხაზეთი — ოკუპირებულია სეპარატისტებისა და უცხოელ დაქირავებულთა მიერ.

რეგიონიდან განდევნილია 400 ათასზე მეტი მცხოვრები, რომლებიც ლტოლვილებად და გადადგილებულ პირებად არიან ქცეულნი, მოკლულია 15 ათასზე მეტი სამოქალაქო პირი, ცოცხლად დაწვეს ასობით ადამიანი, ათასობით კაცი აწამეს, აუპატიურებდნენ ქალებსა და ბავშვებს.

საკმარისია ითქვას, რომ თავის მიწა-წყლიდან ძალკეულად განდევნილ იქნა მთელი ქართველი მოსახლეობა, რომელსაც აგრძალა სამშობლოში დაბრუნება.

საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის — აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზი სეპარატისტების მიერ განხორციელებული ქართველთა ეთნიკური წმენდა აღიარებულ-ია მრავალი საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, აგრეთვე, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის სამიტის (1994 წ.) დასკვნით დოკუმენტი და გაეროს უშიშროების საბჭოს 1996 წლის 12 იანვრის 1036 რეზოლუციით.

მოუხედავად იმისა, რომ 1993 წლის სექტემბრიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებები შეწყდა და რეგიონში შეჟანილ იქნენ გაეროს დამკვირვებლები და დასთ-ს სამშვიდობო ძალები, ქართველთა მიზანშმართული გენოციდი კვლავ გრძელდება. სეპარატისტებმა ლიდერთა წაქეზებით ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენებად იქცა სისასტიკე, მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი მკვლელობები, ჯეუფური გაუჯატურება, ცოცხლად დაწვა.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ანგარიშში ნათქვამია: „აფხაზეთის ხელისუფალნი განაგრძობენ ძალადობრივი ეთნიკური წმენდის პოლიტიკას, რათა არ დაუშვან გალის რაიონში ან აფხაზეთის სხვა ნებისმიერ ნაწილში რაიმე მნიშვნელოვანი რეპატრიაცია“.

ხოლო ცნობილი სამართალდამცავი ორგანიზაციის „ჰუმან რაიტს უოტჩის“ მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ „აფხაზეთის მხარე სულაც არ იყო დაინტერესებული ქართველი მოსახლეობის დაბრუნებით, რამდენადაც ეს კვლავ დაამცრობდა აფხაზეთის წილს“ (ოგულისხმება დემოგრაფიული ვითარება).

დღემდე გალში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ძალისხმევით დაბრუნდა 311 კაცი, რომელთა უმრავლესობა უკვე ერთი კვირის შემდეგ კვლავ განდევნეს, მათ შორის ბევრია მოკლული, დაპატიმრებული და ა.შ.

მარტო ერთ რაიონში (გალი) საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ მოკლული იქნა 1028 ადამიანი, მათგან 183 ცოცხლად დაწვეს მთლიანად ან ნაწილობრივ გადწვეს 12 სოფელი, 5727 სახლი, 40 საშუალო სკოლა, 96 საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ობიექტი.

ყოველივე ამან საშუალება მისცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას, გაეკეთებინა ერთმნიშვნელოვანი დასკვნა: „კომისიის წევრთა მიერ შეკრებილი) ინფორმაცია მკაფიოდ მოუთითებს, რომ გალის რაიონში ჯერ კიდევ გრძელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა“. იქვე აღნიშნულია, რომ „ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული მთელი საქმიანობა მთლიანად მომდინარეობს ქართული მხარიდან“.

„მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას არ შეუძლია გაკონტროლოს აფხაზი სეპარატისტების მიერ დაჭერავებულთა მეშვეობით ოკუპირებული საქართველოს ტერიტორია, სადაც არ წყდება ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა.

სწორედ ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უფრო გაბედულად უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დაცვისთვის ამ რეგიონში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე როდია.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოვიყვან საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვებს: „არავის (ლაპარაკია საერთაშორისო ორგანიზაციებზე) არ ეყო ვაჟკაცობა, დაეჭრა გენოციდისთვის გენოციდი. არავის არ ეყო გამბედაობა ელიარებინა, რომ საერთაშორისო დაკვირვებელთა ნეიტრალიტეტი არ არის სამართლიანობის, ხოლო მხარეთა დაშორება — გათელილი საერთაშორისო ნორმებისა და მორალის აღდგენის ადეკვატური“ (1994 წლის 5 ოქტომბერი — ბუდაპეშტი).

უსახლკაროდ დარჩენილი, დაჩაგრული და გაწამებული ადამიანების რისხვამ, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ შინ დაბრუნების უფლება, რომლებიც განიცდიან უმძიმეს მატერიალურ სიდუხჭირეს, იმყოფებიან მორალურ-ფსიქოლოგიური სტრესის მდგომარეობაში, სავარაუდოა საფრთხე შეუქმნას მშვიდობას კავკასიის მთელ რეგიონში.

პოლიტიკაში შეიძლება გარკვეულ კომპრომისებზე წასვლა, მაგრამ როცა საქმე ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება, როცა ლაპარაკია გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაზე, კომ

ხელოვნება

„ქორეოგრაფს დრამატულ თეატრში ალზე თავისებური სამუშაო აქვს“

...ქალენი შემოქმედებითი ცხოვრება ...ლის ასაკში დაიწყო, როდესაც ... ფილმში „ვერის უბნის მელო-...

...ლოგ. მაშინ მეორე კლასში ვიუავი. გიორგი ...ური ზარეცკისთან ერთად მოვიდა სკო-...ოდენიმე ბავშვი შეარჩია ფილმისთვის. ...ოფესიის შესწავლაში დიდი მნი-... აქვს პედაგოგს. თქვენ ამ მხრივ ...ათ: ბატონ ვახტანგ ჭაბუკიან-...ბდით, ბატონმა გოგი ალექსიძემ ...ურად თქვენთვის დადგა „საბა-...ია“.

...ამოვნებით ვიგონებ მათთან გატარებულ ...ებოთ. სპექტაკლის „საბავშვო სიმფონიის“ ...ალერთოვანებულმა სერგო ფარაჯანოვმა ...ებით მომიდოცა წარმატება. რაც შე-...ბონ ვახტანგ ჭაბუკიანთან მუ-...ა სპეციალურად ჩემთვის გა-...ლი პარტია სპექტაკლში „ბუ-... და ვარდი“. მოუხედავად იმისა, ...ირ ფესიულ თეატრში ვცე-...სპექტაკლი ჩემი შემოქმედე-...ნაბიჯად მიმაჩნია.

...ია მარდანია. შოთა ...ველის სახელობის ...ადემიური თეატრის ქო-...ოგრაფია 1972 წელს და ...ა თბილისის სახე-...ო ქორეოგრაფიულ ...ასწავლებელი ვახ-...ნ ჭაბუკიანის კლასის. 1974 წლებში მუშაობ-...ა ...ალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალე-...ის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ძალიან ...ალა გაგრძელა ბოსტონის სახელმწიფო ...ალური ხელოვნების ინსტიტუტში საბალეტო ...ისტორს ფაკულტეტზე დადგმული აქვს სპექტაკ-...ები. „ბამლეტი“ (რ.ბაბირიჯაძე), „ფილიდანის ...ალი“, „სალომეა“ (ოტარაული) და ...ალი საკო-...ერტო პროგრამა.

1992 წელს იგი შოთა რუსთაველის სახელობის ...ალეთის თეატრში ოფიციალურ მუშაობას, სადაც ბაბუ-...ს სპექტაკლები. „ბალბა №6 (ა.ჩეხოვი), „ბოიკეიკი“ (...ეზენი), „საშობაო სიზმარი“ (ჩ.დიკენსი), „ლიზა-...ი ბეთლეემი“ (ბ.ბრეხტი), „ირინეს ბედნიერება“ (...ალიაშვილი), „ბაბეტი“ (ფ.ფეიდოუ), „ჯილა ინა“ (...ბაშვილი), „კინოლაბორატორია“ (ნ.ლეონიძე).

...ასწავლებლის დამთავრების შემ-... პარტია იცეკვეთ ვ.ჭაბუკიანის ...ულ ბალეტში ბეთჰოვენის „აბა-...“, სადაც პარტნიორობას თეატ-...ნი სოლისტი სვეტლანა გოჩიაშ-...�დათ.

...ალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ქალბატონი ...და სოლისტების მთელი ჯგუფი მამხნევებდა, ...ებოდა. ისე, სცენის არასოდეს მეშინოდა... სა-...ბ სპექტაკლი გამოვიდა. ეს ბატონი ვახტან-...ნ დადგმა იყო, მას მერე სულ სპექტაკლების ...ზე მუშაობდა.

...ემდეგ მოსკოვში გაემგზავრეთ და ... რეპეტიციის ფაკულტეტი დაამ-... პერიოდი თქვენს შემოქმედე-...ერთ საინტერესო ეტაპად შეიძ-...ნიოთ. აქ მუშაობდით მსოფლი-...ელ მოცეკვავეებთან ... ლიუდმი-...ასთან, ანდრი და ილზე ლიეპა-...და პავლოვასთან, ნინო ანანია-...ოი პოსოხოვთან. მათი პოპუ-...ლობა ხომ არ გიშლიდათ?

...ალიერ, შეხვრებოდა. ისინი ჩემთან მუშა-...ობდენ სამუშაოს. ერთხელ იური პოსოხოვ-...ი, რაიმე დამედგა მისთვის. გამიკვირდა და ...ეკითხე, რომ ასეთი გამოცდილი მსახიობი, ...ალ ...ალიანად ცნობილი ბალეტმასტერთან ...ოგორიც იური გრიგოროვიჩია, რატომ მო-...ქმნა სათხოვნელად? მან უბრალოდ ამიხსნა, ...ესწონს ჩემი ნამუშევრები. ეს, რა თქმა უნდა, ...ასახარულო იყო და მაშინ განვახორციელე ...ს მონოლოგი“ ბახის მუსიკაზე. ლიუდმილა სე-...�და შემომთავაზა თანამშრომლობა და მისცა ...ბ ტანგო“ დავდგი, ანდრე და ილზე ლიეპას-...თანაც მჭონდა მუშაობის ხანგრძლივი პერიოდი.

ასეთი წარმატების შემდეგ რატომ წახვედით დრამატულ თეატრში? აქ ქორეოგრაფია უკანა პლანზეა, სპეციფიკა განსხვავებული, მოთხოვნებიც.

— თბილისის საბალეტო თეატრში არავის დავუპატიჟებივარ, რუსთაველის თეატრში კი ბატონმა რობერტ სტურუამ მიმიწვია. ქორეოგრაფს დრამატულ თეატრში ძალზე თავისებური სამუშაო აქვს. მაინტერესებს ის, რასაც რეჟისორი აკეთებს, რათა მის მიერ შექმნილი სახე პლასტიკაში განვითარდეს. ეს უაღრესად საინტერესო პროცესია. საბალეტო თეატრში „სახე“, შეიძლება ითქვას, ზედაპირულია. ბალეტის შახიობი უოველთვის ტექნიკაზე, ფორმაზე ფიქრობს.

რა პრობლემები აქვს დრამატულ თეატრში ქორეოგრაფს?

— საზღვარგარეთის თეატრებში არის ტენდენცია, რომ დრამატულ თეატრში პლასტიკამ თითქმის პირველი ადგილი დაიკავიდროს. ჩვენში, მიუხედავად ქართველების დიდი პლასტიურობისა და ტემპერამენტისა, ეს მხარე იჩქმალება. მე ვფიქრობ, რომ არ იყენებენ ქართულ გენს, ან, უფრო ზუსტად, არ იციან, როგორ გამოიყენონ.

რუსთაველის თეატრში არაერთი სპექტაკლი გაქვთ გაფორმებული, მაგრამ ყველაზე მკვეთრად ქორეოგრაფის ძალა რობერტ სტურუას სპექტაკლებში იგრძნობა. რას იტყოდით ამ მეტად არაორდინალურ პიროვნებასთან მუშაობაზე?

— ბატონმა რობერტმა მთლიანად შემიცვალა მსოფლმხედველობა და, საერთოდ, სხვაგვარად დამანახა თეატრი, არა მხოლოდ დრამატული, არამედ საბალეტოც. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სკოლაა. ბედნიერად მიმაჩნია თავი, რადგან შემოქმედებითი ურთიერთობები მქონდა და მაქვს ორ გენიასთან — ვახტანგ ჭაბუკიანთან და რობერტ სტურუასთან.

... თქვენს შემოქმედებაში, ალბათ, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს სპექტაკლი „დედა ენა“. ამ სპექტაკლის დადგმა თავისთავად დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული: თითოეული ასოს, ბგერას თავისი მოძრაობა აქვს. ფაქტობრივად, ყესტი და მიმიკა ასახელებს, წარმოაჩენს ბგერას, ასოს.

— ჩემთვის საინტერესო და მოულოდნელიც იყო ასოების დადგმა. სპექტაკლი სამ კვირაში მომზადდა, ერთი ამოსუნთქვით. აქ არ არის ტექსტი, ამიტომ ყველაფერი აუცილებლად პლასტიკის მეშვეობით უნდა წარმოგვიჩინა, ბატონი რობერტი რაღაცას მთავაზობდა, მეც ვთავაზობდი და ასე შეიქმნა სპექტაკლი. ჯერ ცალკეული სცენები იდგმებოდა, ყველა ბგერას ხომ ცალკეული რიტმი და ეფერადობა აქვს, შემდეგ ვაერთებდით და ერთ პლასტიურ მხარეს ვუმორჩილებდით.

საბალეტო თეატრში ქორეოგრაფი თავად ირჩევს მუსიკას, დრამატულში კი რეჟისორი და კომპოზიტორი სთავაზობს მას. ასეთ პირობებში ძნელია მუშაობა?

— ნებისმიერი მუსიკა ჩემში პლასტიურ სახეს ბადებს და მუშაობის პროცესში მეხმარება, რათა უკეთ ჩავუღრმავდე პერსონაჟის ხასიათს, თვისებას, მის სახეს.

ეს ძალზე კარგად გამოვლინდა სპექტაკლში „სეიუახელი კეთილი კაცი“, სადაც თითოეულ პერსონაჟს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პლასტიური სახე აქვს. თუ გიოცნებიათ რომელიმე პიესის განხორციელებაზე?

— დიდი სურვილი მაქვს, სხვადასხვა ეპოქის ქალების სახეთა გალერეა შევქმნა, სადაც დრამატული თეატრის მსახიობები მონოლოგებს მხოლოდ პლასტიკაში განახორციელებენ.

— წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა თეატრმცოდნე

მაია კიკნაძე

„ზოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზაში და მის ვეტერინარულ აფთიაქებს გააჩ-... ყველა სახის მაღალეფექტური პრეპარატები. ჩვენთან ვეტპრეპარატებში ყველაზე ...ბისაწვდომ ფასებშია, გარანტირებულია ხარისხი. მოგვმართეთ რაიონების ვეტერინა-...ულ აფთიაქებში და „ზოვეტმომარაგების“ რესპუბლიკურ ბაზაში.

...ისამართი: ნავთლუღი, მატროსოვის 15, მეტრო „სამგორი“.

...ელეფონი: 74-36-62,

მსოფლიო

კავშირი გაფორმდა



დაახლოებით ორთვიანი პოლიტიკური მერყეობის შემდგომ, რომელიც ესპანეთის საყოველთაო არჩევნებს მოპყვა, სახალხო პარტიის ლიდერ ხოსე მარია ასნარს, ალბათ, რაღაც ერთი კეირის განმავლობაში პრემიერმინისტრად დაასახელებენ. როგორც უკვე ეიუწყებოდით, ასნარის მემარჯვენე ცენტრისტულმა პარტიამ. ვერ შეძლო აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვება მარტის არჩევნების დროს. ამ ფაქტმა ასნარი იძულებული გახადა კატალონელ ნაციონალისტებთან შეეკრა კავშირი. გარიგება ორ პარტიას შორის უკვე მოხერხდა, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, მას წინ საკმაოდ დაძაბული კონსულტაციები უძღვოდა. ბოლოს, კატალონელები ასნარს პოლიტიკურ და საპარლამენტო თანამშრომლობაზე დათანხმდნენ. თუმცა, ბუნებრივია, რომ მათ სახალხო პარტიისგან განსხვავებული ბევრი მოსაზრება აქვთ.

ყოფილ იუგოსლავიაში...

კვირას ასმა ბოსნიელმა მუსლიმმა ლტოლვილმა სცადა მოენახულებინა თავიანთი სახლები ჩრდილო-დასავლეთ ბოსნიის ქალაქებში. ისინი „ომის შემდგომი თავისუფალი მოძრაობის“ თაობაზე მიღებული დადგენილებით ხელმძღვანელობდნენ. ცდა უშედეგოდ დასრულდა. ლტოლვილები, რომელთა დიდი ნაწილი გერმანიიდან ჩაეიდა ბოსნიაში, ნატოს მიერ კონტროლირებადი პუნქტიდან უკან გააბრუნა სერბთა პოლიციამ და განუცხადა მათ, რომ ვერ მისცემდა უშიშროების გარანტიას.

ბოსნიელმა სერბებმა ჯერ კიდევ ადრე გააფრთხილეს სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები, რომ თუ მუსლიმები შეეცდებოდნენ სერბთა გამგებლობაში მყოფ ტერიტორიებზე გადასვლას ან ეთნიკური ნიშნით განსხვავებული საზღვრების დარღვევას, ისინი სათანადო ზომებს მიიღებდნენ.

ლტოლვილთა მიერ ქალაქებში შეღწევის მარცხით დასრულება აფერხებს ეიტონის სამშვიდობო გარიგების საკვანძო სამოქალაქო ასპექტების განხორციელებას.

* * *

საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც ჰააგაში მუშაობს, ბოსნია-ჰერცეგოვინის მოთხოვნით ორშაბათს დაიწყო საჯარო სიაჩიერების განხილვა. ბოსნიის სახელმწიფო გმობს გენოციდს, რომელიც იუგოსლავიის ფედერალურმა რესპუბლიკამ ნამოიწყო (რესპუბლიკაში შედის სერბეთი და ჩერნოგორია). ფედერალური რესპუბლიკა, თავის მხრივ, უარყოფს ბრალდებას და დაჟინებით აცხადებს, რომ კონფლიქტს უფრო სამოქალაქო ომის სახე აქვს, ვიდრე საერთაშორისო კონფლიქტისა.

ბოსნია-ჰერცეგოვინა ბრალს სდებს ბელგრადის მთავრობას იმაში, რომ მან აქტიური და გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის დაწყებაში. ბოსნიელები ითხოვენ ქვეყნისა და ხალხისადმი ომით მიყენებული ზარალისთვის ფინანსური კომპენსაციის გამოყოფას და დაჟინებით აცხადებენ, რომ თუ სამართალი არ იზეიმებს, ყოფილი მტრების შერიგება არ მოხდება.

დივერსია დღესასწაულის წინ

პაკისტანის პრემიერმინისტრი ბენაზირ ბუტო ენვია პოსპიტალს, რომელშიც მოათავსეს კვირას მომხდარი ტერორისტული აქტის დროს დაზარალებულები. სულ კი, ტერაქტის შედეგად დაიღუპა 60 ადამიანი, მათ შორის 6 ბავშვი. პაკისტანის უშიშროების სამსახური, ჯერჯერობით, არ ფლობს რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას ავტობუსის აფეთქების შესახებ. ერთი კი ნათელია: აფეთქება მოხდა უშუალოდ მუსლიმანთა ერთ-ერთი წმინდა დღესასწაულის წინ, რაც დივერსანტების ისლამისადმი მტრულ განწყობაზე მიუთითებს.

ტრაგედია ტასმანიაზე

გუშინ ავსტრალიის კუნძულ ტასმანიაზე დააკავეს დამნაშავე, რომელმაც კვირას ავტომატური იარაღით ერთ-ერთ კაფეში 32 ადამიანი დახვრიტა, 19 დაჭრილი კი, მათ შორის ჩვილი ბავშვი, საავადმყოფოში მოათავსეს. დაპატიმრებამდე რამდენიმე საათით ადრე მან დაწვა სახლი, რომელშიც სამი მძევალი ჰყავდა ჩაკეტილი. ორის გვამი უკვე იპოვნეს, მესამეს ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია. თავად დამნაშავემაც, რომელიც ფსიქიურად დაავადებულია, მძიმე დამწვრობა მიიღო. ამიტომ, იგი ჯერ კლინიკურ მკურნალობას გაივლის და ამის შემდეგ წარდგება სასამართლოს წინაშე.

მომეცით ბრილიანტები, თორემ...

უცნობი ტერორისტი ევროპის უმსხვილესი კვების პროდუქტების მწარმოებელი კონცერნების ხელმძღვანელებისგან მოითხოვს 250 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ბრილიანტებს.

იგი იმუქრება, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში გასაყიდად გამოტანილ პროდუქტებში შპრიცით შეიყვანს 274 ყველაზე საშიში გველისგან მიღებულ შხამს.

გამომძალველმა ინფორმაცია შხამის შესახებ კომპიუტერული დისკის მეშვეობით გაუგზავნა ამ კონცერნების ხელმძღვანელებს.

ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ამ შხამის სანინააღმდეგო პრეპარატი არ არსებობს.

იბერია

იქ, შეცხოეთში

ნადია აუერმანი მოვავალზე ფიქრობს

ბერლინელი ნადია აუერმანი ბედნიერია: ახალი მეგობარი ჰყავს. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მოდელია. 24 წლის ნადია საუკეთესო დიზაინერებთან და ფოტოგრაფებთან მუშაობს.

ნადია, მოდელებზე ამბობენ, ბზეცებივით ესხმიან თავს ერთმანეთსო. როგორ ახერხებთ კოლეგებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას?

— მშვენივრად. სულაც არ არის მართალი, რასაც მოდელებს შორის გესლიან დამოკიდებულებაზე დაპარაკობენ.

მათ შორის კარგი მეგობრებიც გყავთ?

— ახლო მეგობრობა მაქვს კარლა ბრუნისთან. ჰელენა კრისტენსენი, კლაუდია შიფერიც ძალიან მესიმპათიურებიან. ბევრი სხვაც.

კლაუდიას კონკურენტად არ თვლით?

— სულაც არა. მე იგი ძალიან მომწონს, მაგრამ ჩვენ სრულიად განსხვავებული სტილის მოდელები ვართ.

როგორი ურთიერთობა გაქვთ კარლ ლაგერფელდთან?

— ვმეგობრობთ, ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. ახლახან ახალ ლაგერფელდ-კატალოგზე მუშაობა დავასრულეთ.

ცოტა ხნის წინ ნადიამ მეგობარი გამოიცვალა. იგი უფრო და უფრო ხშირად ჩანს საზოგადოებაში 28 წლის შვედ მოდელთან, ალექსანდერ ლანკუისტთან ერთად. ამბობენ, ნადია ალექსს თავისი ცხოვრების დიდ სიყვარულად მიიჩნევსო. ერთმანეთი ბერლინში, ახალ ფოტოალბომზე მუშაობისას, კარლ ლაგერფელდთან გაიცნეს.

... ნადია, შეიღებავ ყოლა თუ გსურთ?

— მომავალზე ფიქრი არ მიუყვარს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა, რომ მოხდეს.

ოჯახთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— სამწუხაროდ, შშობლებს და დას ძალიან იშვიათად ვხედავ, ალბათ, წელიწადში ერთხელ.

სამუშაოს მერე როგორ იხსნით დაძაბულობას?

— ყველაზე ხშირად მუსიკით. განსაკუთრებით ძველი, ჯიმი ჰენდრიქსის სიმღერები მიყვარს.

ნარკოტიკებზე როგორა ხართ?

— ძალიან შორს. პირადად მე, არასოდეს მიმიღია ნარკოტიკი. ზოგიერთს ასე წარმოუდგენია მოდელის პორტრეტი, 16 წლის გოგონა, რომელიც ამერიკაში ან საფრანგეთში მიდის, მანეკენდმანეკ ნარკომანი ჰგონიათ. ფიქრობენ, რომ ეს გოგონები ყოველ ღამეს შპრიცებით ხელში საეკვო კლუბებში ატარებენ. ეს მხოლოდ შავად დახატული სურათია. ჩემთვის ჯერ არავის შეუოუთავაზებია ნარკოტიკი.

ბევრი მოდელი ხომ მართლაც იღებს გამაძხნევებელ შედიკამენტებს?

— ვერაფერს გეტყვით. ზოგიერთ პროფესიულ წრეში, ალბათ, ასეცაა. ადრე იყენენ ასეთი მუსიკოსები, მსახიობები, ახლა მოდელები. მაგრამ ისიც უნდა ვაღიარო, რომ მოდელობა დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს. იმდენი უნდა იმოგზაურო... არა მგონია, ნარკომანს ამდენი შეეძლოს. ისეთი თვითდისციპლინა მოგეთხოვება, წესით სიგარეტიც კი არ უნდა მოსწიო. მე ვაღიარებ, რომ ბევრს ვეწევი. მაგრამ ალკოჰოლი კი მართლა ცუდი რამეა.

[illegible] ან პირადი მწვრთნელი?

— არა. კაცმა თვითონ უნდა იცოდე, რა გჭირდება. ზოგი ირწმუნება, მოდელები შიმშილობენო. ეს რომ მართალი იყოს, ვინ გაუძლებდა ამოდენა ფიზიკურ დატვირთვას? ჩვენ ბევრი ენერგია გვჭირდება, ამისთვის კარგად კვებაა საჭირო. მაგალითად, ბევრ ბოსტნეულს და მარცვლეულს ვჭამ. ვეგეტარიანელი ვარ.

ცხოველებისა [illegible]

— ამიტომაც. ცხოველები მიყვარს. სახლში კატა მყავს. მაგრამ ბორცი ბავშვობიდან არ მიყვარს, ბევრი არ მომწონს.

ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრი ხართ?

— კი. უპირველეს ყოვლისა, ანტი-ბეწვის ორგანიზაციისა. ჭურჭის ჩაცმაზე უარს ვამბობ. ეს საშინელებაა.

მოდელის კარიერის შემდეგ რას [illegible]ებთ, მსახიობი გახდებით?

— როგორც გითხარით, წინასწარ არაფერს ვგეგმავ. უკვე შემომთავაზეს რამდენიმე როლი, მაგრამ საამისოდ მზად არ ვგრძნობ თავს.

ჯერ სამსახიობო [illegible] გაკვეთილების მოსმენა გსურთ?

— დიახ, ვიფიქრობ, ასე აჯობებდა.

[illegible] აფასებთ ადამიანებს?

— იუმორს, ინტელიგენტურობას და მგრძნობიარობას.

[illegible] ნებთ?

— არადისციპლინირებულობა და ცუდი იუმორი. ვერ ვიტან უკბილო და უხამს ხუმრობებს.

ძალიან ბევრს ლაპარაკობენ თქვენს ფეხებზე, მსოფლიოში ყველაზე გრძელი.

— ჰო, მართალია, სხვულთან შედარებით კიდურები არაპროპორციულად გრძელი მაქვს. მაგრამ იმდენს დაპარაკობენ ჩემს ფეხებზე, მე მაინც იმედი მაქვს, რომ სხვა დანარჩენიც არა მაქვს ცუდი. (იცინის).

[illegible] ბაზეთ?

— ადრე ამბობდნენ, მოდელები ლამაზები არიან, მაგრამ უტვინოებიო. საბედნიეროდ, ეს დამოკიდებულება ცოტათი შეიცვალა. არ მიმაჩნია, რომ ყველანი ინშტაინები უნდა ვიყოთ, მაგრამ სილამაზესთან ერთად ინტელიგენტურობაც საჭიროა. რათა ადამიანებმა მართლა მიგიღონ და მოგიწონონ.

თარგმნა

ნათია ფანჯიკიძე

ერთი ფალსიფიკაციის შესახებ

საქართველო ცნობილია ალკოჰოლურ სასმელების ფალსიფიკაციით. ამ ფენომენს მისი გავლენის სფეროს გაზრდა სურს მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გამგრილებელი სასმელების კომპანია „კოკა-კოლას“ „ლირსეული“ ფალსიფიკატორი გამოჩნდა — ქუთაისის ლიმონათის ქარხნის „აია“-ს სახით.

მიუხედავად „კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიას“ თხოვნისა შეწყდეს უხარისხო „კოკა-კოლას“ ჩამოსხმა ქუთაისის ლიმონათის ქარხნის მიერ, ჩამოსხმა მაინც გრძელდება. „აია“-ს „კოკა-კოლა“ არც ერთი სტანდარტს არ ექვემდებარება. მაა არ გააჩნია რეგისტრირებული ნიშნები და მისი ჩამოსხმა უნებართვოა, ვინაიდან „კოკა-კოლას“ ჩამოსხმის უფლება აქვს მხოლოდ თბილისის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს — „კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიას“.

კომპანიის რეპუტაციის შექმნას დიდი დრო სჭირდება, მისი დაკარგვა კი ერთ დღეში შეიძლება.

ქუთაისის ლიმონათის ქარხანა უკვე კარგა ხანია ცდილობს კოკა-კოლას რეპუტაციის დანგრევას, მისი უხარისხო ნაწარმით. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება. ქუთაისური „კოკა-კოლა“ ვერანაირ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს. უფრო მსეტიც, უხარისხო და უკანონო ნაწარმი, ერთი მხრივ, საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, მეორე მხრივ კი, საქართველოს მთელ მსოფლიოში კლასიკური ფალსიფიკაციის ქვეყნის სახელს უმკვიდრებს.

„კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიას“ დირექცია

ПРИВАТИЗАЦИЯ

ПРИВАТИЗАЦИЯ САКАРТВЕЛОС МОМАВАЛИ ГАРМАТЕБИС САГИНДАРИА

ინფორმაცია № 10 საბარათო აუქციონის შესახებ

№ 10 საბარათო აუქციონზე, რომელიც ჩატარდა 1996 წლის 29 მარტს, გამოტანილი იყო 19 საწარმოს აქციათა პაკეტი. აუქციონზე შემოსული იყო 6 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „ბუხრანი“ — საწყისი ფასი 282 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;
2. ს/ს „მზეთამზე“ — საწყისი ფასი 347 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;
3. ს/ს „ალეკო“ — საწყისი ფასი 335 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;
4. ს/ს „ბელელი“ — საწყისი ფასი 306 საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი;
5. ს/ს „თბილღვინო“ — საწყისი ფასი 1155 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;
6. ს/ს „კეგელი“ — საწყისი ფასი 482 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი;

ყველა განცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

ნაწილში ბეს სახით ჩაბარებულია 298 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „ბუხრანი“ — 30 საპრივატიზაციო ბარათი; 2. ს/ს „მზეთამზე“ — 35 საპრივატიზაციო ბარათი; 3. ს/ს „ალეკო“ —34 საპრივატიზაციო ბარათი; 4. ს/ს „ბელელი“ — 31 საპრივატიზაციო ბარათი; 5. ს/ს „თბილღვინო“ — 119 საპრივატიზაციო ბარათი; 6. ს/ს „კეგელი“ — 49 საპრივატიზაციო ბარათი.

აუქციონის შედეგების თანახმად საგადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 2907 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

ინფორმაცია № 11 საბარათო აუქციონის შესახებ

№ 11 საბარათო აუქციონზე, რომელიც ჩატარდა 1996 წლის 12 აპრილს, გამოტანილი იყო 20 საწარმოს აქციათა პაკეტი. აუქციონზე შემოსული იყო 2 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „ინსტრუმენტაცენტრი“ — საწყისი ფასი 4887 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი. 2. ს/ს „ალი“ — საწყისი ფასი 143 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.

ორივე განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

ნაწილში ბე-ს სახით ჩაბარებულია 504 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „ინსტრუმენტაცენტრი“ — მიღებულია ბე 489 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.
2. ს/ს „ფორგასალი“ — მიღებულია ბე 15 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

აუქციონის შედეგების თანახმად საგადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 5030 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

ინფორმაცია № 12 საბარათო აუქციონის შესახებ

№ 12 საბარათო აუქციონზე, რომელიც ჩატარდა 1996 წლის 19 აპრილს, გამოტანილი იყო 18 საწარმოს აქციათა პაკეტი. აუქციონზე შემოსული იყო 2 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „ინტერკონი“ — საწყისი ფასი 3714 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი. 2. ს/ს „მექანიკოსი“ — საწყისი ფასი 250 საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი;

ორივე განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

ნაწილში ბეს სახით ჩაბარებულია 397 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1. ს/ს „ინტერკონი“ — 372 საპრივატიზაციო ბარათი; 2.ს/ს „მექანიკოსი“ — 25 საპრივატიზაციო ბარათი;

სულ აუქციონის შედეგების თანახმად საგადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 3964 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

ინფორმაცია № 13 საბარათო აუქციონის შესახებ

1996 წლის 26 აპრილს ჩატარდა № 13 საბარათო აუქციონი, რომელზეც გამოტანილი იყო 19 საწარმოს აქციათა პაკეტი. აუქციონზე შემოსული იყო 5 განაცხადი, შემდეგ სააქციო საზოგადოებებზე:

1. ს/ს „ქუთაისის რძის კომბინატი“ — საწყისი ფასი 302 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.
2. ს/ს „ტახომეტრი“ — საწყისი ფასი 362 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.
3. ს/ს „ავტოშემკეთებელი 2“ — საწყისი ფასი 571 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.
4. ს/ს „ალბერგი“ — საწყისი ფასი 1259 საპრივატიზაციო ბარათი — 1 განაცხადი.
5. ს/ს „ცენტრალური ავტოვაგზალი“ — საწყისი ფასი 6059 საპრივატიზაციო ბარათი —1 განაცხადი.

ყველა განმცხადებელი მონაწილეობას იღებდა, როგორც ფიზიკური პირი.

აუქციონზე გაიყიდა შემოთ აღნიშნული 5 ს/ს აქციათა პაკეტები. ბანკში ბე-ს სახით ჩაბარებულია 1154 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

1.ს/ს „ქუთაისის რძის კომბინატი“ —124 საპრივატიზაციო ბარათი; 2.ს/ს „ტახომეტრი“ — 240 საპრივატიზაციო ბარათი; 3.ს/ს „ავტოშემკეთებელი 2“ — 58 საპრივატიზაციო ბარათი; 4.ს/ს „ალბერგი“ —126 საპრივატიზაციო ბარათი; 5.ს/ს „ცენტრალური ავტოვაგზალი“ — 606 საპრივატიზაციო ბარათი.

სულ აუქციონის შედეგების თანახმად საგადამხდელო საშუალებად უნდა შემოვიდეს 8553 ცალი საპრივატიზაციო ბარათი.

გასწორება

პარასკევის, 26 აპრილის № 71(365) „კავკასიონში“ გაიპარა უზუსტობა. მესამე გვერდზე, ნაცვლად „№ 35 და 36 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონების შედეგები“-სა უნდა იკითხებოდეს „№ 37 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგები“.

ეცხოვრეთ ფუნგურთით ისარგებლეთ ფუნგურთით დალიეთ კოკა-კოლა

ბოლო რამდენიმე თვეა რაც საქართველოში ფირმა „კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიამ“ სასიამოვნო სიახლე დანერგა.

ამჟამად მიმდინარეობს „კოკა-კოლას“ რიგით მეორე კამპანია, რომელიც თბილისელებს და არა მარტო მათ, სასიამოვნო სიურპრიზებით ახარებს. ნუთუ სასიამოვნო არ არის, როცა თქვენ მხოლოდ ერთი ბოთლის საფასურად ხდებით მუსიკალური ცენტრის მფლობელი, ან იგებთ კოკა-კოლას ქურთუკს, მაისურს ან სპორტულ ჩანთას? ასეთი კამპანიები მსოფლიოში მიღებული ფორმაა. იგი გამიზნულია, რათა ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამგრილებელი სასმელი სიურპრიზების მომტანი იყოს თაყვანისმცემელთათვის. თბილისში „კოკა-კოლას“ მორიგ ლატარიას გარკვეულ წილად სიძნელეები შეხვდა. ქალაქში დაიყარა ჭორები ვითომდაც „ევრო 96“-ის კამპანია უსამართლოა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე მოგებულია ექვსასზე მეტი მაისური, ასი სპორტული ჩანთა. აგრეთვე კამპანიელნდა პირველი „ევრო 96“-ის მოგებულიც. 15 წლის თბილისელი სერგო გიგის ძე შუღაროვი ორი დღით გაემგზავრება ინგლისში ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთში.

კოკა-კოლას „ევრო 96“-ის კამპანიას მრავალი მეთვალყურე ჰყავს მთელს მსოფლიოში, რომლებიც თვალს ადევნებენ საქართველოში ლატარიის მსვლელობას. მეთვალყურეობა არის საკმაოდ მკაცრი, რაც გამოიხატება იმაში, რომ „კოკა-კოლას“ არცერთ თანამშრომელს ან მისი ოჯახის წევრს არა აქვს პრიზების მოგების უფლება. ზემოთ აღნიშნული ფაქტი მეტყველებს თუ რაოდენ დინტერესებულია „კოკა-კოლა“ უბრალო მოქალაქის გამხნევებით ამ რთულ დროს. ამგვარი ლატარია „კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიას“ პირველი ნაბიჯი გახლდათ. დღესდღეობით ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ასეთ კამპანიებს, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. სასურველია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გაგებით მოეკიდონ კოკა-კოლას დღევანდელ ღონისძიებას.

მათ, ვინც შეაგროვა „ევრო 96“ კოკა-კოლას საცობებისაგან, გთხოვთ სასწრაფოდ მოგვწოდოთ მაისის თვეში თქვენი პასპორტები ვიზების გასაფორმებლად.

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის გამზირი № 114

ტელეფონი: 89-79-15

„კოკა-კოლა ბოთლერს ჭორჭიას“ დირექცია

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იყიდება

- ექვსოთახიანი ბინა ორი ტელეფონით, ორი აბაზანით, ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე. საუკეთესო ადგილას, საერთო ფართი 160 კვ.მ., მაღალი ბელეტაჟი. ბინა სარემონტოა. ფასი 75000 დოლარი.ტელ.: 22-71-48, 37-79-54, გუგა, ციცო.
- 4-ოთახიანი ბინა ბაბტრიონზე, იპოდროომთან. არაორდინალური პროექტით, ბუხრით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 60 ათასი დოლარი. ტელ.: 37-79-54.
- სარემის ქუჩაზე. წითელი პარკის თავზე 300 კვ.მ. მიწა ხეხილით. ფასი 20 ათასი ლარი. ტელ.: 38-32-05. იკითხეთ ლევანი.
- მეტრო „დელისთან" 8-სართულიანი სახლის მეექვსე სართულზე ოროთახიანი პრივატიზებული, გარემონტებული სუფთა ბინა. [illegible] ჩაშენებული კარადებითა და ორმაგი პარკეტით, რკინის კარებით. ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიით, მანქანის სადგომით. ლოჯიის ფაფართოება 35 კვ.მ., ვშენებლობა დაუმთავრებელია. ტელ.: 39-67-98 ნებისმიერ დროს. მისამართი: ვაჟა-ფშაველას პირველი ჩიხი, მეორე სადარბაზო, მეექვსე სართული, გავაშელი.

იყიდება სამოთახიანი ტიპიური ბინა. დიდმის მასივში, ბაზართან, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით ტელეფონი 29-48-05, იკითხეთ ზაზა ან დათო

- ერთსართულიანი ასი კვ.მ. ფართობის არასტანდარტული შენობა (7 ოთახი); ჭერის სიმაღლე 4 მეტრი. მიშენებული აქვს 70 კვ.მ. დაუმთავრებელი [illegible] აქვს პატარა ეზო. მისი: საბურთალო, ალექსაძრე ყაზბეგის 34 ა. მეტრო „ოკუპაციისთან". ტელ.: 34-82-33, 98-34-83.
- 2.5-ოთახიანი ბინა ნუცუბიძის მესამე პლატოზე, მეოთხე კვარტალი, პირველი კორპუსი, მეხუთე სართული, ბინა № 20, კაპიტალური გარაჟით. ტელ.: 38-86-19, 31-61-71, მურმანი ან ჩამბული.
- სამოთახიანი, გარემონტებული ბინა ტელეფონით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით. საერთო ფართი 70 კვ.მ., მისამართი: დოლიძის ქუჩაზე, კორპ. 26, მეორე სადარბაზო, მე-7 სართული. ტელ.: 99-82-75. იკითხეთ ნინო, პაატა.
- სასწრაფოდ ერთოთახიანი გარემონტებული, მაღალეტერიანი, არასტანდარტული ბინა ლოჯით, აივნით, ბუხრით, ტელეფონით. მესამე სართული, ფართი 51 კვ.მ., ყოფილი ტელმანის ქუჩა. ფასი 29000 ლარი. ტელ.: 35-05-30.
- ერთოთახიანი იზოლირებული ბინა გამსახურდიას გამზირზე, სასტუმრო „აჭარასთან" მეორე სართულზე, აივნით, ტელეფონით, რკინის კარებით. ფასი 15000 დოლარი. ტელ.: 39-14-25, 23-39-26.
- აგარაკი მანგლისთან ახლოს, თბილისიდან წყნეთის გზით 35 კმ-ზე. ორსართულიანი სახლი მანსარდით, კარ-ფანჯრით, 140 კვ.მ. საერთო ფართი. 800 კვ.მ. ეზოში. ფასი 6300 ლარი. ტელ.: 98-95-85 (ოფისი), 60-54-79 (ბინა). იკითხეთ გიორგი ან მამუკა.
- 3-ოთახიანი მოსკოვის პროექტის ბინა, მეტრო ისანთან, მე-6 სართულზე, სუფთა სამზარეულო, აბაზანა კაფელში, რკინის კარებით. ფასი 20 ათასი დოლარი. ტელ.: 93[illegible]86-69.
- დაღმაშენებლის გამზირზე ერთსართულიანი კერძო სახლი მაღალ ბელეტაჟზე, ეზოთი, 2 ოთახით, 2 რკინის კარებით. ტელეფონით, დიდი სარდაფით. ტელ.: 96-47-79, გოლეთიანი.
- ერთოთახიანი იზოლირებული ბინა აბაშიძის (ყოფილი ბარნოვის) ქუჩაზე. პირველი სართული ბელეტაჟზე. ტელ.: 22-22-48.
- რკინიგზის სადგურთან ახლოს ფოცხვერაშვილის ქუჩაზე 1-ოთახიანი (20 კვ.მ.) ბინა. ტელ.: 96-46-08

ხარისხიანად, ნახვამდის საათში!

სამეზობლო ბარათები

გაზეთ „კავკასიონის" კომპიუტერული ნაბეჭდი თქვენი ჯგუფისთვის

მომზადდება:

პეტრიაშვილის 7, ტელ.: 29-48-05

ვეძებ გარემონტებულ სარდაფს ადგილშენებლის გამზირზე, მოსახერხებელია სავაჭრო ადგილისთვის. ტელ: 96-35-32

სავაჭრო სახლი „ბავშვთა სამყარო"-ს ადმინისტრაციის განცხადება ფირმა „ბავშვთა სამყარო"-ს სააქციო საზოგადოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით ფირმის თანამშრომლებს გთხოვთ მობრძანდეთ დამფუძნებელ კრებაზე ა/წლის 4 მაისს.

თქვენ გჭირდებათ ავიაბილეთი?!

სიკეთარო მიმოზნელის საკვანძო **კონტექტი** *ბოლავაზობთ*

კომპლექსურ მომსახურეობას

- ბილეთების დაჯავშნას ნებისმიერ რეისზე, ნებისმიერ ავიაკომპანიაში;
- კონსულტაციების მთლიან კომპლექსს - მგზავრთა გადაყვანისა და გვირთის გადაგანის სფეროში.



ქ. თბილისი პ. ინგოროყვას ქ. 12 (ყოფილი ძერჟინსკის ქუჩა) ვეტერო თავისუფლების მოედანი

93 66 00

დარეკეთ. მოგვმართეთ. მოგრძანდითკონტექტში

ჩვენი კომპლექსური სამსახური ყოველთვის თქვენი დროისა და ენერგიის დაზოგვაა

საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს აკადემიის 5 წევრის და 3 წევრ-კორესპონდენტის ასარჩევად.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ:
- განცხადება აკადემიის პრეზიდენტის სახელზე;
— აკადემიის წევრად ან წევრ-კორესპონდენტად წარდგინება ან პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო საბჭოდან, ან სამეცნიერო, ან სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებიდან, ან პოლიტიკური აკადემიის წევრისა და წევრ-კორესპონდენტისგან;
— ავტობიოგრაფია;
— დახასიათება სამუშაო ადგილიდან;
— მეცნიერული შრომების სია, დამონმებული დაწესებულების ბეჭდით და ხელმძღვანელის ხელმოწერით;
— აკადემიის წევრად კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ მეცნიერების დოქტორის დიპლომის ასლი.
— აკადემიის წევრ-კორესპონდენტად კონკურსში მონაწილეებმა უნდა. წარმოადგინონ ან მეცნიერების დოქტორის დიპლომის ასლი, ან მეცნიერების კანდიდატის დიპლომის ასლი და პროფესორის წოდების დამადასტურებელი დოკუმენტი.
— დოკუმენტების მიღება იწარმოებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრაზე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. №3, უნივერსიტეტის II კორპუსი.

დოკუმენტები მიიღება ყოველდღე /გარდა შაბათისა და კვირისა/ 11 საათიდან 13 საათამდე

კონკურსის ვადაა ორი კვირა გაზეთში გამოცხადების დღიდან.

გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»

ქ.თბილისის პრესის გავრცელების ს/ს (ყოფილი სოიუზპეჩატი)

„მაცნე"

აბრძელებს ხელმოწერას ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებზე. ხელმოწერა შეიძლება 1. თვით, 3 თვით, 6 თვით ხელმოწერის რაიონულ უბნებში, შემდეგ მისამართებზე:

1. გურამიშვილის გამზირი №30 ტელ: 69-80-22
2. ივჯავახიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ.№4 ტელ: 95-87-36
3. ქეთევან წამებულის"(ყოფილი შაუმიანის) გამზ. №61 ტელ: 74-14-47
4. წერეთლის გამზირი № 73 ტელ: 343-75-51
5. თამუკაშვილის ქ.№12
6. ცენტრალურ ოფისში, გამსახურდიას გამზ. №42 ტელ: 37-47-49, 37-61-53, 93-43-97

ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩვენი წარმომადგენლის თავისთან მიწვევა ხელმოწერის გასაფორმებლად.

„მაცნე„ გარანტია

ხელმოწერისთვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების. ჩვენ კატალოგებში შეტანილ ჟურნალ-გაზეთებს საცალო ვაჭრობაში ვერ იყიდით.

ენდეთ ჩვენს ნახელავსაუკუნოვან გამოცდილებას.

გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»

ვაჭრობა

- ბინას ორსართულიანი საკუთარი სახლის პირველ სართულზე — ორი ოთახი. საკუთარი გარაჟით. ბინის საერთო ფართი 37 კვ.მ. ბინაში შესასვლელი ქუჩიდან. გარაჟი ეზოში. ოფისისთვის ან ფირმისთვის. ბარნოვის ქ. №24. კუპრეიშვილი გურამი.
- ოროთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით თამარ მეფის გამზირზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 99-09-61, ანი.
- 24 კვ.მ. ფართის ბინას მეტრო „ისანთან". ფასი 50 ლარი. შირაქის ქ. №34. ტელ.: 74-58-40.
- ოროთახიან ბინას ავეჯით, მისამართი: ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონი, მესამე კვარტალი, მე-7 კორპუსი, მე-7 სართული (ყოფილ საბურთალოს რაიკომთან).ტელ.: 36-46-47, 23-41-02.
- სამოთახიან ბინას ოფისისათვის, მეტრო რუსთაველთან, ბარნოვზე პირველი სართული, ტელ.: 98-21-08. ფასი 300 დოლარი.
- ორსართულიან სახლში ერთ ოთახს. მისამართი: საკაძის 63 ა.
- ერთ იზოლირებულ ოთახს დამზმარე სათავსოებით და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-39-56.
- ვაკეში 3-ოთახიან გარემონტებულ იზოლირებულ ბინას (მეორე სართული), ტელეფონით. ტელ.: 23-17-31.
- ერთოთახიან, იზოლირებულ ბინას ავეჯით, თამარაშვილის 9 ნომერში, ტელ.: 22-73-03.

იყიდება ორსართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე ოთხოთახიანი ბინა ლოჯით, სარდაფით, ეზოთი, გარაჟით, ტელეფონით, ჭერის სიმაღლე 3.40. საერთო ფართობი 140 კვ.მ. ფასი 90 000 ლარი. ტელ.: 22-03-65.

ავტობაზრობა

- ვეიდი BMW-ს მარკის ავტომობილის ნებისმიერ ნაწილს. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ტელ.: 37-66-41.
- ვეიდი „ნისანის" მარკის ავტომანქანას. ძარა კარგ მდგომარეობაში (კომპლექსი, მოტორის გარეშე), თავის კონდეციონერით და მაგნიტოფონით, ასფალტისფერი. ტელ.: 71-73-67, 74-73-84 (სახლი).
- იყიდება სასწრაფოდ ქალაქის ცენტრში ავტოსადგომი, ავტოგასამართი ბოქსებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-23-82, თემური, 95-31-65, ავთო, საღამოს საათებში.
- ვეიდი „ნივა ვაზ-21-21"-ს, გამოშვებულია 1990 წელს, წითელი ფერის, კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. ტელ.: 22-55-69.
- ვეიდი გაზ-21, 1964 წლის გამოშვება, ახალი ძრავით, ფასი 1250 ლარი. ტელ.: 22-41-06.
- იყიდება „ვაზ-05", „ვაზ-07", „ვაზ-08" მანქანის სათადარიგო ნაწილები, შეღავათიან ფასებში. მაღაზია „ნატვრისთვალი", ცოტნე დადიანის ქ. 311. ტელ.: 66-02-01.
- ვეიდი მანქანას „მოსკვიჩი იუ-2715 (ფურგონი). ფასი 2000 ლარი. 1986 წლის გამოშვება. ტელ.: 29-18-92, 23-15-36, დათო.
- ვეიდი ბმვ-518-ს, 4 კარიანს, არაგარდამავალს, მუშა მდგომარეობაში. მოსკოვის ნომრებზე. ან ვცვლი შესაბამის ავტომანქანაზე საქართველოს ნომრებზე. ტელ.: 22-45-36, იკითხეთ ზურა.
- ვეიდი გერმ.ნულ მანქანა ოპელ-კადეტს ფურგონით. დიზელზე. 1986 წლის გამოშვება. ფასი 5500 ლარი. ტელ.: 39-17-25, ბაჩო.

ვცვლი

- ქუთაისში რუსთაველის პროსპექტზე პრესტიჟული ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე მდებარე კუთხის ნათელ ოროთახიან (ოთახები 20+15 კვ.მ., მიშენებული ლოჯი — 26 კვ.მ., ჭერი 3,60 სმ.), აივნიან, სარდაფიან, ტელეფონიან, პრივატიზებულ ბინას ქ.თბილისში 1-1,5-ოთახიან ბინაზე ქალაქის ცენტრალურ რაიონებში. ტელ.: 22-00-46, მაია.
- 2-ოთახიან ბინას (ბელინსკის ქ.5), 30 000 ბოთლ შამპანურში. ნუგზარ მაისურაძე.
- ვაჟა-ფშაველაზე ორ გარემონტებულ ბინას — ერთი ოროთახიანი, მეორე — ოთახნახევრიანი, 4 ან 3-ოთახიან ერთ ბინაზე. ტელეფონი: 39-56-93.
- ერთოთახიან ბინას ამოშენებული ლოჯითი 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ვარკეთილის ზემო პლატოდან (მეტრო ვარკეთილლიდან ერთ კილომეტრში) ვაჟა-ფშაველას IV, III, VI კვარტალში ან ნუცუბიძის პლატოზე. ტელ.: 31-14-58, 73-02-69, 73-59-26. ნინო.
- ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე „კავკასიის ბირჟის" პირდაპირ, ასევე ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინაზე მეტრო „დელისის" მიდამოებში თანხის დამატებით. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06 31-76-07.
- 5 ოთახიან გარემონტებულ და 1,5 გასარემონტებელ (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ბინებს დიდუბის პანთეონთან ერთ სადარბაზოში მე-3 და მე-2 სართულებზე — ავტოფარეხით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონებით — საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურთალოზე (შესაძლებელია საკუთარი სახლის ყიდვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ბინების გაყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-36.

სხვადასხვა

- ვეიდი შალის გერმანულ ხალიჩას „სუპერი" 3,5X2,5, მე-19 საუკუნის ანტიკვარულ ჩამოსაკიდს, მოოქროვილ სარკეს. ტელ.: 38-42-14, 37-58-57.
- საესტრადო სიმღერისა და ფორტეპიანოზე სმენით დაკვრის სწავლის მსურველებმა დარეკონ ტელ.: 22-03-48, თინიკო.
- ვეიდი გერმანულ ნიველირს (სრული კომპლექტი), ფასი 150 ლარი. ტელ.: 95-75-06.
- ვეიდი სასწრაფოდ და ხელმისაწვდომ ფასებში: გამსახურდიას ტიპის პურის 7 აკენიან საცხობს (ახალი) სათადარიგო ნაწილებთან ერთად, ფასი 3000 ლარი; საწოლილე ინკუბატორს 90000 კვერცხის ტევადობის, ფასი 4000 ლარი; ავტომანქანა ზილ-131 (ტიგაჭი) თავისი მისაბმელით, რეფრეჟერატორთან ერთად, ფასი 2500 ლარი; ორმაგ რკინის (ჭერმეტიული შიფთავსით) ასწყობ 25 კვ.მ. ფართის ასწყობ ოთახს (გამოსაყენებელია სბაღე ნაკვეთებისთვის, სავაჭროდ, კონტეინერად და ა.შ.) ფასი 10000 ლარი; რკინის 20-ტონიან ოთხკუთხა ავზს, ფასი 450 ლარი; 4 კვ.მ. ფართის სავაჭრო ჯიხურს ორიგინალური დიზაინით, ფასი 350 ლარი; საგზავრო მატარებლის შუაზე გაჭრილ ვაგონებს, თითოეული 12 მეტრი სიგრძის, ერთი ცალის ფასი 400 ლარი. ტელ.: 62-96-30, ანზორი, 30-07-16, გოჩა.
- ვეიდი ხეხილიან ნაკვეთს ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიაზე, 1500 კვ.მ. ფართობით, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-13-00.
- ვეიდი საკერავ მანქანას „პოდოლსკი". ფასი შეთანხმებით; რუმინულ კარადას (ორ ჯარანი), ფასი შეთანხმებით. ტელ.: 78-42-12, იკითხეთ მაია ან მანანა.
- შევასწავლი კომპიუტერთან მუშაობას. ტელ.: 30-32-85, გიორგი.
- ვეიდი საკერავ მანქანას, ახალი, 22-კლასის. კერავს მექანიკურადაც და დენზეც. ფასი 200 ლარი. ტელ.: 66-70-16.
- კვალიფიციური მკერავი ასწავლის კერვას ახალგაზრდა გოგონებს და ქალებს. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გუთნის ქუჩა № 49. მეტრო „300 არაგველთან". იკითხეთ ლიანა. ტელ.: 95-07-45 იკითხეთ მარინა ვაშაკიძე.
- ვეიდი პიანინოს „როსტოვნადონუ", ფასი 300 ლარი; ჰამბურგერის დასაშზადებელი აპარატი, ფასი 100 ლარი. ტელ.: 67-90-74, 67-29-50, იკითხეთ მანანა ან ლია.
- ვეიდი სარეცხის მანქანას „ვიატკა-16", ფასი შეთანხმებით. ტელ.: 74-14-80 (ნელი). ოთხ საათამდე.
- ვეიდი ჰიდრავლიკურ წნეხს, ნახევრად ავტომატს, ორი ყალიბითა და სამუშაო მასალით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-44-79, ჯონი (საღამოს საათებში).
- ვეიდი წიგნების კარადას, მაგიდას, ახალ სარეცხ მანქანას „ტელა"; ტანსაცმლის კარადას. ტელ.: 23-14-26.

«მთის ბროლი» გაფრთხილება ურეკსა და შოვში

„სამთო ქიმია" გთავაზობთ საოჯახო საგზურებს ურეკისა და შოვის დასასვენებელ ბაზებში.

— ურეკის „მთის ბროლში" თქვენს განკარგულებაშია კომფორტული ნომრები ცხელი წყლით, სასადილო სამჯერადი კვებით, ბარი, ვიდეობარი, კლუბი, ღია სპორტული მოედნები, საკუთარი პლაჟი. მოგემსახურებათ „იკარუსის" ტიპის ავტობუსები თბილისიდან ურეკამდე და პირიქით.

ზღვა, მზე და ურეკის განთქმული მაგნიტური ქვიშა შესანიშნავ პირობებს შეგიქმნით მკურნალობისა და დასვენებისთვის.

— შოვის „მთის ბროლი" ტყის პირას მდებარეობს. თქვენს განკარგულებაშია საცხოვრებელი კორპუსი, სასადილო სამჯერადი კვებით, კლუბი, ვიდეობარი, სპორტული დარბაზი.

შოვის კლიმატი განსაკთრებით ეფექტურია ასთმითა და ბრონქიტით დაავადებულთათვის.

საგზურების რაოდენობა შეზღუდულია.

ცნობებისთვის მოგვმართეთ: თბილისი, წერეთლის პრ.142, „სამთო ქიმია", ოთახი №22; ტელ.: 34-13-30, 34-02-03 10-დან 4 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ..."

ცხოვრობდა ქვეყნად კაცი — გეოლოგი ზაურ რეხვიაშვილი... წარმოშობით იგი ზემო რაჭის მაღალმთიან სოფელ ჯორიდან გახლდათ. გეოლოგის რთული პროფესიისადმი ლტოლვა და სიყვარული მისი წინაპრების ოჯახებში იღებს სათავეს.

ზაურ რეხვიაშვილის მამა პროფესიით გეოგრაფ-გეოლოგი იყო, ხოლო ზაურის ვაჟაშვილმა ოჯახის ტრადიცია გააგრძელა. ტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა და პროფესიით ნავთობსა და გაზის გეოლოგია.

ზაურ რეხვიაშვილი 1935 წელს დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1961 წელს დაამთავრა და შემდეგ, ოცი წელიწადნახევარ, საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" სისტემაში მუშაობდა. იგი თავდაუზოგავად მონაწილეობდა სახალხო მნიშვნელობის არაერთ წამოწყებაში. მათგან ერთ-ერთი განსაკუთრებული აღნიშნულია: ლრმა ბურღვის მეშვეობით უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით იქნა მიკვლეული და მოპოვებული მიწისქვეშა თერმული წყლები ძვირფასი მარაგი ქალაქ ოჩამჩირის მისადგომებთან, სოფელ ოხურეიში. ამ თერმული წყლის აღმოჩენა შემდეგ დიდმნიშვნელოვან პრაქტიკულ მიღწევებს დაედო საფუძვლად, კერძოდ: მთელი ქალაქის თბოენერგომომარაგებას და დიდი სასათბურე მეურნეობის შექმნას, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა ციტრუსების მოსავალს. სამეცნიერო ლაბორატორიების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ოხურეიის თერმული წყალი უნიკალურია თავისი შემადგენლობით, აქვს სამკურნალო თვისებები, ხოლო მისი ტემპერატურა 100-120 გრადუსს აღემატება.

ზაურის მსგავსი ადამიანები, ცხადია, საუკეთესო ხვედრს იმსახურებენ, მაგრამ... განეკენა ბრმა ბედნათქვამია. საზოგადო საქმისთვის თავდადებული 45 წლის კაცისთვის საბედისწერო გამოდგა მისი პროფესიების გულწრფელად მოსიყვარულე და ღრმად პატივისმცემელი ხალხით დასახლებული ეს ლამაზი ზღვისპირა ქალაქი, რომელიც, თავის მხრივ, მასაც განსაკუთრებულად უყვარდა. ზაურ რეხვიაშვილმა იგრძნო, რომ ოჩამჩირეში გატარებული წლები მისი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო, რადგანაც ეს გაუმართლა მეგობრების წრეს, პირადმა ცხოვრებამ და ჰქონდა წარმატებები სამსახურში...

მაგრამ „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გეჭირსო"...

1981 წლის აგვისტოში, მივლინებაში ყოფნის დროს, სწორედ ოჩამჩირის მისადგომებთან მოამზადა საავტომობილო კატასტროფამ იმსხვერპლა იგი.

ესაა და ეს. ასეთია ზაურ რეხვიაშვილის უდევი ენერგიით დამუხტული ბიოგრაფიის უმთავრესი ფაქტები. ვთქვათ, საანკეტო მონაცემები. მაგრამ ადამიანის ცხოვრება, მის მიერ განვლილი გზა, მხოლოდ გარეგნული ნიშნებითა და ცალკეულად მომენტებით არ ხასიათდება. ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებო კაცის რეალური სახე, ანუ მისი შინაგანი ბუნების მთლიანობა. ამ მხრივ ჩვენი წერილის გმირი მკვეთრად გამოირჩეოდა საერთო ფონზე, ვინც მას პირადად იცნობდა, ამაში უეჭველად დამეთანხმება.

ზაურ რეხვიაშვილი რაინდული სულის დიდბუნებოვანი ვაჟკაცი გახლდათ. უზომოდ კეთილგული, ბოლომდე გულღია და გულუხვი, ხშირად ბავშვურად გულჩვილი და გულუბრყვილოც კი... ამავე დროს უშიშარი, პირდაპირი და პრინციპული როგორც საქმეში, ასევე, ყოველდღიურ პირად ცხოვრებაში. ამიტომაცაა, რომ სადაც კი მას ფეხი დაუდგამს, ყველგან კეთილმოსაგონრად დარჩენილა მისი სახელი.

როდესაც ამ ქვეყნიდან მიდის ასეთი მაღალი ადამიანური თვისებების მატარებელი კაცი, მას არა მხოლოდ ახლობლებთა და მეგობართა წრე კარგავს, არამედ — საზოგადოება, მთელი ქალაქი და ზოგჯერ მთელი ქვეყანაც.

ეჭვი არ მეპარება, ვინც კი პირადად იცნობდა ზაურ რეხვიაშვილს, მის მეუღლეს და ერთადერთ ვაჟიშვილს „ზაურ ზაურიევიჩს" (როგორც იგი მას ეძახდა), გულწრფელი სინანულის ცრემლით აევსებოდა თვალები, როდესაც ამ სტრიქონებს წაიკითხავს და გაახსენდება სოლოლაკში მის ოჯახში გატარებული მშვენიერი საღამოები.

ჩემი დიდი სურვილია, ეს სინანულის ღრმა გრძნობა უცნობ მკითხველსაც გადაედოს. მის გულში წმინდა სანთლად აენთოს და ჩაუქრობლად ციმციმებდეს თუნდაც უცნობი, მაგრამ ღირსეული მამაკაცის, ქართველი ვაჟკაცის, საქმისთვის თავდადებული, პატიოსანი და მშრომელი ადამიანის ნათელი ხსოვნა.

დავით ჯავახიშვილი

შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის რესპუბლიკური ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს დედის მარიამ კუჭუხიძე-ჯორბენაძის გარდაცვალების გამო.

კროსვორდი



თარაზულად: 3. ხრეშით მოფენილი ან ასფალტიანი გზა; 8. სახელმწიფო აფრიკაში; 10. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის შეერთება; 11. ქართული ცეკვა ერთგვარი; 12. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა (ხვნა-თესვის, თიბვის და მისთანების) დრო; 14. ხის პატარა ჩხირი, ინთება ხახუნით; 16. ხალხში სავადდებულოდ მიღებული წესი; 17. სიტყვა „ამისის" შებრუნებული სიტყვა; 18. ნადავლი; 19. ენობრივი თავისებურება, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მწერალს; 20. რაიმე ნიშნის მიხედვით შედგენილი ჯგუფი, კრებული; 22. პროფესიონალი მზედარი; 23. ადგილობრივი სისხლნაკლებობა რაც გამოწვეულია მკვებავი არტერიის შევიწროებით; 24. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება; 26. რესპუბლიკა ყოფილ იუგოსლავიის ტერიტორიაზე; 27. ფრინველთა დიდი აურზაური, ყაყანი; 29. მოქმედების უნარი, მხნეობა, ძალა; 31. შუასუკუნეებში — კათოლიკური ეკლესიის სასამართლო — პოლიტიკური ორგანიზაცია;

შვეულად: 1. ცხენოსნის წკეპლა ერთგვარი; 2. ცალკე ეპიზოდი, რომელიც გამოხატულია პიესაში, ლიტერატურულ ნაწარმოებში, სურათში; 4. ელექტრომოწყობილობა ხმოვანი სიგნალის მისაღებად; 5. ნ. დუმბაძის გმირი რომანიდან „თეთრი ბარაღები"; 6. რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; 7. საცხოვრებელი ადგილსამყოფელი, ნაგებობა; 9. მეტად ცელქი გოგო; 11. დიდი ფართობის კარგი სახნავ-სათესი მიწა; 13. გულისხმადების გამოთქმა ვინმესთვის; 14. რაიმეთი ძლიერი გატაცება; 15. პატარა ელექტროორღანი; 19. გაჯავრებით ნათქვამი სიტყვა პირუტყვზე; 21. ჩუქრების საცხოვრებელი ქოხი ირმის ტყავებით დახურული; 22. დეკორატიული ბუჩქი, აქვს ყვითელი ან თეთრი დეკორატიული ყვავილები; 25. უარყოფითი ნაცვალსახელი, არცერთი ადამიანი; 26. თავადაზნაურის ტიტული გერმანიაში; 28. იფარავს, ინახავს; 30. სოფელი გარდაბნის რაიონში;

შეადგინა მურთაზ ხანთაძემ

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ქანთარია; 2. ძმარი; 3. გრაფინი; 4. იაპონია; 5. ადესა; 6. პარაშუტი; 9. არდი; 14. ლაკმე; 15. მაცნე; 16. თვალი; 17. მუმია; 18. რელსი; 19. როკენროლი; 20. ზარაკორი; 23. შსეტრინა; 25. ბარმენი; 27. ჭინდერი; 28. ფარა; 30. ურეკი; 31. კეკემ.

თარაზულად: 7. სალამური; 8. ხარდელად; 10. ფორთო; 11. დათვი; 12. ანაშა; 13. დიპლომით; 17. მარშრუტი; 20. აკაცია; 21. მალაკო; 24. ნალექები; 26. აქილევსი; 29. მაგდუ; 31. კენტი; 32. მარად; 33. არლეკინო; 34. არტემონი.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.